ნინო მაისურაძე *

დასავლეთ ევროპის ქვეყნების საარჩევნო სისტემები

აბსტრაქტი

არჩევნები დემოკრატიული მმართველობის საფუძველია. თუ ის თავისუფალი და სამართლიანი წესით ტარდება, მაშინ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა იმის, რომ მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მისი ინტერესები. ყველაზე მნიშვნელოვანია თუ რომელ საარჩევნო სისტემას იყენებს ქვეყანა. საარჩევნო სისტემების როლი პოლიტიკურ პროცესებში დიდია, რადგან ისინი განსაზღვრავენ თუ როგორი სისტემით მოხდება პარტიებისათვის/კოალიციებისათვის მიცემული ხმების გადაქცევა და განაწილება მანდატებად. ამრიგად, შეიძლება ერთი საარჩევნო სისტემის პირობებში პოლიტიკური პარტიის მიერ ჯამში მიღებული კენჭისყრის ხმებმა ეს პარტია დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანოს, ან სხვა საარჩევნო სისტემის პირობებში იგივე შედეგები პარტიის მარცხად იქცეს.

სტატიაში აღწერილი და კლასიფიცირებულია სარჩევნო სისტემები დასავლეთ ევროპაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობა პარლამენტის არჩევისას იყენებს პროპორციულ წარომადგენლობით საარჩევნო სისტემას. ამიტომ ყურადღება გამახვილებულია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და ამ სისტემის თავისებურებებზე, რომელიც იცვლება სხვადასხვა ქვეყანაში, თავად ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

შესავალი

საარჩევნო სისტემის შერჩევა თითოეული ქვეყნისათვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია სუვერენულ ქვეყნებში პოლიტიკური აქტორების კონსესუსზე, მაგრამ არსებობს რამდენიმე საერთაშორისო სტანდარტი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საარჩევნო სისტემის არჩევისას. ვენეციის კომისია აცხადებს, რომ არჩევნები უნდა იყოს: საყოველთაო, თანასწორუფლებიანი, პირდაპირი, თავისუფალი, ფარული.[1] ამ ყველაფრის გარდა, საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს: ხმის თანასწორობა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა, გენდერული თანასწორობა.

ხშირად საარჩევნო სისტემის არჩევა მექანიკურ პროცესად გვეჩვენება - ესაა კონსტიტუციური მეთოდი გარკვეული მიზნების მისაღწევად. მაგრამ უკვე არჩეული საარჩევნო სისტემის ფუნქციონირებას მოსდევს შედეგები, რომლებიც არსებითად ასახავს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სადავო საკითხებს.[2]

საარჩევნო სისტემები რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ესენია: მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემა და შერეული საარჩევნო სისტემა. რადგან საქართველოში 2019 წელს აქტიურად იმართებოდა საპროტესტო აქციები შერეულიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მოთხოვნით, ამიტომ კვლევაში მთავარი აქცენტი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გვაქვს გაკეთებული.

---

[1] (01.09.2013) „Electoral systems; International experience", ნანახია 19. 09. 2019 წ., https://emc.org.ge/en/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba-1 --დან.

[2] Norris P., *"Choosing Electoral Systems: Proportional, Majoritarian and Mixed Systems"*, ნანახია 25. 09. 2019 წ., https://sites.hks.harvard.edu/fs/pnorris/Acrobat/Choosing%20Electoral%20Systems.pdf-დან.

კვლევის მიზანია დასავლეთ ევროპის ქვეყნების საარჩევნო სისტემების შესწავლა. ამ კონკრეტული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში აუცილებელია პასუხი გავცეთ შემდეგი სახის კითხვებს: რა დადებით და უარყოფით შედეგებამდე მიდის ქვეყანა მაჟორიტარული, პროპორციული თუ შერეული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას?

შევისწავლეთ 25 ევროპის ქვეყნის მაგალითი, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახის ჰიპოთეზა: საარჩევნო სისტემის არჩევა დამოკიდებულია პოლიტიკური ძალების მიერ სისტემის სამართლიანად მიჩნევაზე.

პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემა

პროპორციული სისტემა მაჟორიტარულთან შედარებით უფრო დემოკრატიულად მიიჩნევა, რადგან ამ სისტემის მიხედვით, მანდატები პარტიის მიერ მოპოვებული ხმების პროპორციულად ნაწილდება თითოეული ოლქის მიხედვით. პროპორციული სისტემის მნიშვნელოვან ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი უკეთ ასახავს საზოგადოებაში ძალთა თანაფარდობის რეალურ სურათს.[3]

პროპორციული სისტემა ამჟამად 50-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს, პირველად კი ის ბელგიაში გამოიყენეს 1889 წელს. ამ საარჩევნო სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია. პარტიებს შორის კი მანდატები ნაწილდება ოლქში მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით,

[3] რუხაძე ზ., *„საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“,* ნანახია 24. 07. 2019 წ., http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH018e083605e388a0f0c0f1d1.8.3.7&gt=1- დან.

თუ როგორი წესით ხდება ხმის მიცემა და რომელი წესით ხდება მანდატების გადანაწილება პარტიებს შორის. [4]

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ყველაზე ძველი საარჩევნო სისტემაა. ამ სისტემის გამოყენებისას დეპუტატის მანდატს ის კანდიდატი იღებს, რომელიც ხმების უმრავლესობას მოიპოვებს. მისი გამოყენება უმეტესად ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქისთვისაა რეკომენდირებული.

საარჩევნო სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები

პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს:[5]

დადებითი მხარეები	**უარყოფითი მხარეები**
სამართლიანი წარმომადგენლობა (პარტიის მიერ მიღებული მანდატთა რაოდენობა მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია)	ამომრჩევლებს პარტიულ სიებში წარმოდგენილ კანდიდატთა ვინაობის გარკვევა უჭირთ და გადაწყვეტილებას ლიდერთა მიმართ თავისი დამოკიდებულების მიხედვით იღებენ (ეს მდგომარეობა განსაკუთრებით *„ახალი დემოკრატიის“* ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი)
ე. წ. *„დაკარგული“* ხმების რაოდენობა ამ საარჩევნო სისტემის გამოყენების შემთხვევაში მცირეა	პარტიულ სიებს ხშირად მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობა (და არა პარტიის წევრები) ადგენს (პარტიების შიდა მოწყობა

[4] *„საარჩევნო სისტემები“.* ნანახია 06.07.2019 წ., http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf , გვ. 9.
[5] იქვე. გვ 17-18.

	თუ არადემოკრატიულია)
პარტიული სიის მეშვეობით შესაძ-ლებელია ამომრჩევლისთვის ნაკ-ლებად ცნობილი პირის არჩევა, რომელსაც სათანადო განათლება, გამოცდილება და უნარი აქვს	თუ ქვეყანაში პოლიტიკური სიჭრელეა, წარმომადგენლობი-თი ორგანოც *„ჭრელი“* გამოვა, რაც, როგორც წესი, პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს. ამის თავიდან აცილება ე.წ. საარჩევნო ბარიერის შემოღებით უნდა მოხ-დეს

მაჟორიტარული სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები:[6]

დადებითი მხარეები	**უარყოფითი მხარეები**
მცირეა იმის ალბათობა, რომ არჩეული ორგანო პოლიტიკურად „ჭრელი“ იქნება	*„დაკარგული“* ხმების რაოდენობა
გასაგებად უფრო მარტივია ამომრჩევლისთვის	კენჭისყრის შედეგებით მეორე ადგილზე გასულმა პარტიამ შეიძლება ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღოს, იმის მიუხედავადაც კი თუ ის გამარჯვებულ პარტიას ხმების მცირე რაოდენობით ჩამორჩება

შერეულ საარჩევნო სისტემას კი იყენებენ პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების დადებითი მხარეების გასა-ერთიანებლად და ხარვეზების შესამცირებლად. ქვეყნებში მოქმედი

[6] *„საარჩევნო სისტემები“.* ნანახია 06.07.2019 წ., http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf - დან., გვ 8-9.

შერეული სისტემების ნაწილი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისაკენ იხრება, ნაწილი პროპორციულისკენ.[7]

პროპორციული საარჩევნო სისტემის გზით მიღწეული შედეგები

სიით პროპორციული სისტემა

დასავლეთ ევროპის ქვეყნები განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებენ საარჩევნო სისტემის არჩევისას. გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, ეკონომიკური სტანდარტები, მოსახლეობის შემადგენლობა, რელიგია და ა.შ. კონკრეტული საარჩევნო სისტემა ერთნაირად არ მუშაობს განსხვავებულ ქვეყნებში, რადგან საარჩევნო სისტემის მუშაობა დამოკიდებულია თავად ამ ქვეყნების სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. [8]

ამჟამად პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებს ავსტრიის რესპუბლიკა, დანიის სამეფო, ესპანეთი, თურქეთი, ისლანდიის რესპუბლიკა, კვიპროსის რესპუბლიკა, ლიხტენშტეინის სამთავრო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგიის სამეფო, პორტუგალიის რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, სან მარინოს რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა, შვედეთის სამეფო, შვეიცარიის კონფედერაცია...

კვლევაში შესწავლილი 25 ევროპული ქვეყნიდან უმეტესობა პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებს. განსაკუთრებით პოპულარული კი სიით პროპორციული საარჩევნო სიტემაა, რომელსაც შესწავლილი 25-დან 17 ქვეყანა იყენებს. განვიხილოთ ის საერთო მახასიათებლები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ ქვეყნებს უყალიბდებათ ამ საარჩევნო სისტემის გამოყენების შედეგად.

---

[7] *„საარჩევნო სისტემები“.* ნანახია 06.07.2019 წ., http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf - დან., გვ. 18.

[8] Petrela I. (იანვარი 2014 წ.) *“ELECTORAL SYSTEMS IN EUROPE AND THE CASE OF ALBANIA”,* ნანახია 04.12.2019 წ., გვ. 38.

პირველი საერთო ნიშანი, რომელზეც ყურადღებას გავამახვილებთ არის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საარჩევნო სისტემის დამკვიდრების ხანგრძლივი ისტორია. ამ სახელმწიფოების უმეტესობაში მათ მიერ არჩეული საარჩევნო სისტემა ჩამოყალიბდა ისტორიულად და მის დახვეწას, ქვეყნის დამახასიათებელ ნიშნებზე მორგებას წლები დასჭირდა. დღესაც ვხედავთ, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებით სისტემის გარკვეული ასპექტები იცვლება, რათა წარმომადგენლობის პრინციპი მაქსიმალურად ყველა ჯგუფისთვის და ინდივიდისთვის იყოს დაცული. პროპორციულ საარჩევნო სისტემას დიდი ისტორია აქვს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ბელგია პირველი ქვეყანაა მსოფლიო მასშტაბით, რომელმაც პროპორციული საარჩევნო სისტემა შემოიღო და დაამკვიდრა ფედერალურ დონეზე. ბელგიის საკანონმდებლო ხელისუფლებაში ეს სისტემა 1899 წელს წარმოადგინეს და მომდევნო წელს მიიღეს კიდეც. პროპორციული საარჩევნო სისტემის პრინციპი 1920 წლიდან ჩაიწერა კონსტიტუციაში. ბელგია დღესაც ინარჩუნებს ამ საარჩევნო სისტემას.[9]

განვიხილოთ ავსტრიის საარჩევნო სისტემაც, რომელიც პროპორციულ წარმომადგენლობით პრინციპს ეფუძნება. სისტემის ძირითად მონახაზს საფუძველი ჩაეყარა 1920 წლის კონსტიტუციაში, მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 1970 და 1992 წლებში. 1970 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა გაზარდა საპარლამენტო არჩევნებში ადგილების რაოდენობა 165-დან 183-მდე. მნიშვნელოვანი იყო 1992 წლის საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაც, რომელიც ძალაში 1993 წლის მაისიდან შევიდა და რომელმაც საყოველთაო არჩევნები შეცვალა არაერთი მიმართულებით. ქვეყანა

[9] BOUHON, F., (21.03.2017). *"The Belgian Electoral System: Open List System, Political Parties and Individual Candidates. ნანახია 09 07 2019,* https://orbi.uliege.be/bitstream/2268/206949/1/BRASILIA%20-%20The%20Belgian%20Electoral%20System.docx.pdf-დან. გვ. 2-3.

ცხრა საარჩევნო მხარედ გაიყო, რომელიც ქვეყნის ცხრა პროვინციას შეესაბამებოდა. ეს მხარეები ჯამში მოიცავს 43 რეგიონულ საარჩევნო ოლქს.[10]

საყურადღებოა შვეიცარიის მაგალითიც, სადაც პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1918 წელს მიიღეს. ამ გადაწყვეტილებამ მეტი შესაძლებლობა მისცა პატარა პარტიებს. წინ გადაიდგა ნაბიჯი რადიკალური და ლიბერალური პარტიების ჰეგემონიის წინააღმდეგ.[11]

მეორე საერთო ნიშანი, რომლითაც ეს ქვეყნები ხასიათდებიან არის საარჩევნო ადმინისტრაციის დეცენტრალიზაცია. შესწავლილი ქვეყნების უმეტესობაში საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციებს რამდენიმე სტრუქტურა ინაწილებს. საარჩევნო ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციის მაგალითია ისლანდიის რესპუბლიკა, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს რამდენიმე დონის კომისიის არსებობას, მათ შორისაა საოლქო საარჩევნო კომისიები, მთავარი საარჩევნო კომისიები და ადგილობრივი საარჩევნო კომისიები. საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება სამოქალაქო მოვალეობად ითვლება. იუსტიციის სამინისტრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევნებისთვის ტექნიკური მომზადების საქმეში მუნიციპალური ხელისუფლების მხარდაჭერით. ეროვნული რეესტრის ოფისი იუსტიციის სამინისტროს ნაწილია და პასუხისმგებელია ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე. საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების ხმის მიცემის პროცესის ორგანიზებაზე. საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე განიხილება, რო-

[10] "*Electoral System",* ნანახია 10.07.2019 წ., http://countrystudies.us/austria/116.htm-დან.

[11] Igor Petrov *"The Road to Proportional Representation in Switzerland"* ნანახია 25.07.2019 წ.
https://www.swissinfo.ch/eng/war-and-revolution_the-road-to-proportional-representation-in-switzerland/44461330

გორც დამოუკიდებელი, კომპეტენტური და საბოლოო ჯამში სარგებლობს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის პოლიტიკური ორგანიზაციების, კანდიდატების, ამომრჩევლების და მედიის სრული ნდობით.[12]

მესამე ნიშანი, რომელმაც თითქმის ყველა შესწავლილ ქვეყანაში იჩინა თავი, არის ამომრჩეველისათვის ფართო არჩევანის საშუალების მიცემა. ელექტორატს შეუძლია რადიკალურად განსხვავებულ კანდიდატებს და საარჩევნო სიებს შორის გააკეთოს არჩევანი. კარგი მაგალითია ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომელშიც მრავალპარტიული სიტემაა, რაც ტრადიციულად სამი დიდი პოლიტიკური პარტიის არსებობით განისაზღვრება: ქრისტიანულ-სოციალური სახალხო პარტიის, დემოკრატიული პარტიის, ლუქსემბურგის სოციალისტური მუშათა პარტიის. თუმცა, ბოლო წლებში მათი პოპულარობა ამომრჩეველში გარკვეულწილად შემცირდა. სამაგიეროდ, ამომრჩევლის მხარდაჭერა გაეზარდა ორ დამატებით პარტიას: მწვანეთა პარტიას და ალტერნატიული დემოკრატიული რეფორმების პარტიას. ყველაზე დიდ და გავლენიან პარტიად საკანონმდებლო ორგანოში მაინც ქრისტიანულ-სოციალური სახალხო პარტია ითვლება. აქედან გამომდინარე, ლუქსემბურგს გარკვეულწილად ახასიათებს დომინანტური პარტიის სისტემა, მაგრამ ამასთანავე, ქვეყანაში კოალიციური მთავრობებიც ნორმად ითვლება.[13]

მრავალპარტიული სისტემის პირობებში პარლამენტში პარტიისთვის უმრავლესობის მიღწევა არაა მარტივი. დანიის სამეფოში არც ერთი პარტია არ იღებს უმრავლესობას პარლამენტში (ბოლოს

[12] (28 07 2009) *"ICELAND; EARLY PARLIAMENTARY ELECTIONS 25 APRIL 2009"*, Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 11. 09. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/iceland/38309?download=true-დან, გვ. 5-6.

[13] *"Parliamentary Elections"*, The official portal of the Grand Duchy of Luxembourg", ნანახია 05. 08. 2019 წ., http://luxembourg.public.lu/en/le-grand-duche-se-presente/systeme-politique/systeme-electoral/legislatives/index.html-დან.

უმრავლესობით მთავრობა 1903 წელს შეიკრიბა). ეს ნიშნავს, რომ ყველა მთავრობაში იქმნება კოალიციები და არც გარიგებებია პარლამენტისათვის უცხო.[14]

შესწავლილი ქვეყნების კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ მათ უმეტესობაში მოქმედებს ე.წ. გადამანაწილებელი, ანუ *„სკომპენსაციო“* მანდატების სისტემა, რაშიც იგულისხმება არჩევნების შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის დისბალანსის თავიდან არიდება. მაგალითისთვის მოვიყვანოთ დანიის სამეფო. დანია იყოფა სამ საარჩევნო პროვინციად: 1) დედაქალაქი კოპენჰაგენი; 2) სამხრეთით არსებული დანიის ზღვისპირეთი; 3) ჩრდილოეთი და ცენტრალური იუტლანდია. ეს სამი პროვინცია იყოფა ათ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად. 10 ოლქში თითოეულ პარტიას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე კანდიდატი. ქვეყნის მასშტაბით არსებული 175 საპარლამენტო ადგილიდან 135 არის არჩევითი ადგილები, რომლებიც ათ მრავალმანდატიან ოლქებს შორის ნაწილდება, ხოლო დარჩენილი 40 ადგილი ე.წ. *„სკომპენსაციო“* ადგილებია, რომლებიც სამ საარჩევნო პროვინციას გადაეცემა.[15]

ერთი გადასაცემი ხმის სისტემა

კვლევაში განხილული ქვეყნების დიდი ნაწილი სიით პროპორციული სისტემით სარგებლობს, მაგრამ არის მეორე, პროპორციული საარჩევნო სისტემის მოდელი ე.წ. ერთი გადაცემადი ხმის სისტემა, ან ერთი გადამსვლელი ხმის სისტემა, რომლითაც კვლე-

[14] (27. 07. 2018) HANSEN J., *“John Hansen: Denmark’s electoral system offers lessons for B.C.”,* ნანახია 01. 08. 2019 წ., https://vancouversun.com/opinion/op-ed/john-hansen-denmarks-electoral-system-offers-lessons-for-b-c -დან.

[15] (2011) *“The Parliamentary Electoral System in Denmark”,* Ministry of the Interior and Health and The Danish Parliament, Copenhagen, ნანახია 30. 07. 2019 წ., https://www.thedanishparliament.dk/~/media/pdf/publikationer/english/the-parliamentary-system-of-denmark_2011.ashx-დან, გვ. 5.

ვაში შესწავლილი ორი ქვეყანა სარგებლობს: მალტის რესპუბლიკა და ირლანდია. მალტამ დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა 1964 წელს მოიპოვა, ამ საარჩევნო სისტემას კი დამოუკიდებლობამდეც, 1921 წლიდან იყენებს.[16]

ერთი გადამსვლელი ხმის სისტემის მიხედვით ამომრჩეველს უწევს საკუთარი სიმპატიების მიხედვით კანდიდატთა სიის თანმიმდევრულად დალაგება. ამ სიის შედგენისას ამომრჩეველს აქვს იმის საშუალება, რომ ამოირჩიოს კანდიდატები სხვადასხვა პარტიებიდან, თუმცა მალტის შემთხვევაში ეს, როგორც წესი, არ ხდება, რადგან მალტაში დიდია პარტიების ნდობის მაჩვენებელი.[17]

პარლამენტში ადგილის მოსაპოვებლად კანდიდატმა უნდა მიიღოს ოლქში კონკრეტული ხმების კვოტა. ეს კვოტა განისაზღვრება ვალიდური ხმების მიღებით და მათი მანდატებად გარდაქმნით. მაგ. ცალკეულ ოლქში თუ ირჩევა 5 კანდიდატი 12 000 ამომრჩევლის მიერ, კვოტა იქნება 12 000 ხმის ექვსზე გაყოფა (5+1), რაც 2000 ხმაა. უფრო კონკრეტულად ფორმულა ასე გამოიყურება: (ხმები(მანდატები+1)+1).[18]

შეჯამების სახით წარმოვადგინოთ მალტის საარჩევნო სისტემისთვის დამახასიათებელი ორი მთავარი ასპექტი:

1) მალტაში პოლიტიკური ბრძოლა ხასიათდება პარტიზანული მეთოდებით. დისკუსიები პარტიებს შორის ხშირად ზედმეტად აგრესიულია, ხშირია ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაც. ამომრჩეველის აქტივობა არჩევნების დღეს მაღალია. მოქალაქეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან არჩევნებზე მის-

[16] Wolfgang Hirczy De Mino *"Malta: STV With Some Twists"*, ნანახია 16.07.2019 წ., http://www.globaladvocacy.com/malta_electoral_system.html-დან.

[17] Wolfgang Hirczy De Mino *"Malta: STV With Some Twists"*, ნანახია 16.07.2019 წ., http://www.globaladvocacy.com/malta_electoral_system.html-დან.

[18] L-Universita ta'Malta *"Malta Elections: a Collection of Electoral Data on Maltese Islands"*, ნანახია 16.07.2019 წ., https://www.um.edu.mt/projects/maltaelections/stvsystem/howmaltavotes

ვლის საკითხს და გამოირჩევიან ლოიალობით პოლიტიკური პარ-ტიებისადმი. [19]

2) მალტაში პარტიები არ ჰპირდებიან ამომრჩევლებს რევო-ლუციურ ცვლილებებს, ისინი განსხვავებულ მოსაზრებებს ავითა-რებენ სხვადასხვა თემის განხილვისას (პრივატიზაცია, ევროკავ-შირი, გადასახადები...), მაგრამ თანხმდებიან ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, როგორებიცაა კონსტიტუციური წესრიგი და დე-მოკრატიული პროცესი. სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავე-ბით მალტას არ შეჰქმნია პრობლემა ისეთი პარტიებისგან, რომლე-ბიც უშუალოდ პოლიტიკურ სისტემას დაემუქრებოდნენ. 1987 წელს კომუნისტურმა პარტიამ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა ხმების მხოლოდ 0.05%, ანუ 119 ხმა აიღო.

მეორე ქვეყანა, რომელიც ერთი გადაცემადი ხმის სიტემით სარგებლობს ირლანდიაა. ირლანდიაში საარჩევნო კამპანიის დროს ფოკუსირება ხდება ადგილობრივ დონეზე, კანდიდატები უპირატე-სობას ანიჭებენ კარდაკარ პრინციპს, ვიდრე ქვეყნის მასშტაბით აქ-ციებს და სატელევიზიო ღონისძიებებს. ირლანდიაში არსებული სა-არჩევნო სისტემის და მოდელის გამო დიდი პარტიები ხშირად მხარს უჭერენ ერთზე მეტ კანდიდატს ერთ საარჩევნო ოლქში. ზო-გიერთ შემთხვევაში პარტიები ახერხებენ ოლქის ტერიტორიის გა-ყოფას საკუთარ კანდიდატებს შორის, რაც იმასაც განაპირობებს, რომ ხშირად საარჩევნო ოლქში შიდაპარტიული კონკურენცია უფ-რო მაღალია ვიდრე გარეპარტიული.[20]

ირლანდიის პარლამენტი ორპალატიანია. პარლამენტის ქვე-და პალატა 166 წევრისგან შედგება და ხუთი წლის ვადით ირჩევა. ირლანდიის ქვედა პალატაში - დოილ ერენში - ადგილების გადანა-

[19] იქვე.

[20] (16 04 2007) „IRELAND; 2007 PARLIAMENTARY ELECTIONS (DÁIL ÉIREANN), Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 26. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/ireland/24652?download=true -დან, გვ.4.

წილება ხდება პროპორციული წარმომადგენლობითი ერთი გადასაყვანი ხმის სისტემით. ეს სისტემა მოქმედებს ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან და ის ფართო პოპულარობით სარგებლობს ამომრჩევლებში და პოლიტიკურ პარტიებშიც. ეს საარჩევნო სისტემა ამომრჩეველს საშუალებას აძლევს განალაგოს ყველა კანდიდატი საკუთარი სიმპატიის მიხედვით, თანმიმდევრობით მათთვის შესაბამის საარჩევნო ოლქის ბიულეტინებში. ამჟამად ირლანდიაში 40 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქია. თითოეულ საარჩევნო უბანში ირჩევა სამი, ოთხი ან ხუთი პარლამენტის წევრი, რიცხვი დამოკიდებულია ოლქის სიდიდეზე.[21]

პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემის მთავარი ხარვეზები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

განვიხილოთ ის ხარვეზები, რომელიც გამოიკვეთა და რომელიც თან ახლავს პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემის გამოყენებას ევროპის ქვეყნებში.

საარჩევნო ბარიერი: პირველი ასპექტი, რომელზეც ყურადღებას გავამახვილებთ, საარჩევნო ბარიერია. ვენეციის კომისიის რეკომენდაციით პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას ბარიერი 3%-4% უნდა იყოს. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილი ითვალისწინებს ამ რეკომენდაციას. მაგალითისთვის განვიხილოთ ავსტრიის რესპუბლიკა, სადაც კანონის მიხედვით დაწესებული საარჩევნო ბარიერი არის 4%. ეს 4% დაახლოებით 112. 942 ხმაა.[22] არის შემთხვევები, სადაც ბარიერი რეკომენდირებულზე ბევრად დაბალია. დანიის სამეფოში საარჩევნო ბარიერი ქვეყნის მასშტაბით

[21] (16 04 2007) „IRELAND; 2007 PARLIAMENTARY ELECTIONS (DÁIL ÉIREANN), Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 26. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/ireland/24652?download=true -დან, გვ.1-2.

[22] Pukelsheim, F., "*Proportional Representation",* Springer International Publishing, ნანახია 10.07.2019 წ., *გვ.3.*

ვალიდური ხმების 2% შეადგენს. მეორე მხრივ, არსებობს ისეთი შემთხვევები, სადაც საარჩევნო ბარიერი რეკომენდირებულ რიცხვზე გაცილებით მაღალია. თურქეთის რესპუბლიკაში პოლიტიკურ პარტიას პარლამენტში შესასვლელად სჭირდება ქვეყნის მასშტაბით მინიმუმ 10%-იანი ბარიერის გადალახვა და დ'ონტის სულ მცირე ერთი კოეფიციენტის მიღება იმ ოლქიდან, რომელშიც ირჩევა. ევროპის საბჭოში შემავალი ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი საარჩევნო ბარიერის მაჩვენებელი სწორედ თურქეთს აქვს. თუმცა, ეს ბარიერი არ ვრცელდება დამოუკიდებელ კანდიდატებზე, რაც 2011 წელს სტრატეგიულად გამოიყენა ქურთულმა სამშვიდობო და დემოკრატიულმა პარტიამ, როცა დამოუკიდებელ კანდიდატებად წარადგინა წევრები და გამარჯვების შემდეგ შექმნა პარლამენტში 35 ადგილიანი ბლოკი.[23]

ქვეყნები ხშირად ითვალისწინებენ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს. ამის მაგალითია კვიპროსის რესპუბლიკა, სადაც საარჩევნო კანონმდებლობა და პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონი შეიცვალა 2015 წელს ეუთოს რეკომენდაციის გათვალისწინებით. ახალი დებულებებიდან უმეტესობა ეხება პარტიისა და კამპანიის ფინანსურ რეგულაციებს. ცვლილებების შედეგად გაიზარდა ბარიერი პოლიტიკური პარტიებისათვის მანდატების განაწილების მეორე ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად 1.8%-დან 3.6%-მდე. ეს ცვლილება დაგეგმილ არჩევნების თარიღამდე ხუთი თვით ადრე მოხდა.[24]

განვიხილოთ ის ქვეყანა, რომელმაც პირველმა დაამტკიცა პროპორციული წარმომადგენლობითი საარჩევნო სისტემა ევრო-

[23](26 10 2015) *"How Turkey's Parliamentary Elections Work"*, ნანახია 16. 07. 2019 წ.,https://carnegieeurope.eu/2015/10/26/how-turkey-s-parliamentary-elections-work-pub-61744-დან.

[24](30. 03.2016) *"Rebublic of Cyprus. Parliamentary Elections 22 May 2016"*, Office for Democratic and Human Rights, Warsaw, ნანახია 19. 07. 2019 წ.,https://www.osce.org/odihr/elections/cyprus/230496?download=true -დან, გვ.7.

პაში. ბელგიაში არსებული პროპორციული სისტემა პრაქტიკაში არ უზრუნველყოფს ეფექტურ პროპორციულ წარმომადგენლობას. ბარიერი და საარჩევნო ოლქის სიდიდე - ესაა ის ნაკლოვანებები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ვიქტორ დ'ონდტის სისტემისათვის. ისინი გამოძახილია ბელგიის საარჩევნო კანონმდებლობის ორი ასპექტისა: ერთი მხრივ, საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებმაც მიიღეს კონკრეტული ოლქის ამომრჩეველთა მთლიანი ხმების 5%. ეს ბარიერი ითვალისწინებს გერმანიაში არსებულ სისტემას, თუმცა ბელგიაში ეს გამოიყენეს ადგილობრივი ოლქის დონეზე. მეორე მხრივ, პარტიები ყველაზე მაღალ დაბრკოლებას აწყდებიან მცირე საარჩევნო ოლქებში. ასეთი ბარიერის პირობებში პარტიისათვის მინიმალური ბარიერის გადალახვა საერთო ხმების 20%-30% გულისხმობს.[25]

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს პარტიებს შორის პროპორციული გზით ადგილების გადანაწილებაზე, არის ბელგიაში მომქმედი ე.წ. ღია სიის სისტემა, ანუ თავისუფალი სიების სისტემა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მსგავსად, ამ სისტემის გამოყენებისასაც ბიულეტინში კანდიდატთა სია ანბანური თანმიმდევრობითაა მოცემული, მაგრამ თან მითითებულია მათი პარტიულობაც. პარტიისათვის მანდატების მიკუთვნება ხდება მისი კანდიდატების მიერ მიღებული ჯამური ხმების მიხედვით, პროპორციული განაწილების წესით. მაგრამ იმას, თუ ვინ მოხვდება მომავალი პარტიული ფრაქციის შემადგენლობაში, მხოლოდ ამომრჩევლის ინდივიდუალური მხარდაჭერა განსაზღვრავს. ამომრჩეველს საშუალება აქვს ხმა მისცეს როგორც პარტიას, ასევე კონკრეტულ კანდიდატსაც.

[25] BOUHON, F., (21.03.2017). *"The Belgian Electoral System: Open List System, Political Parties and Individual Candidates. ნანახია 09. 07. 2019,* https://orbi.uliege.be/bitstream/2268/206949/1/BRASILIA%20-%20The%20Belgian%20Electoral%20System.docx.pdf-დან. გვ. 2-3.

საინტერესოა ისლანდიის რესპუბლიკის მაგალითიც, სადაც საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყანა იყოფა ექვს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად. პარლამენტის წევრებს კი ირჩევენ პროპორციული სიის მეთოდით. 63 ადგილიდან 54 განაწილებულია საოლქო დონეზე, სადაც არ არის საარჩევნო ბარიერი. ამ 54 მანდატის განაწილების შემდეგ დარჩენილი 9 მანდატი ნაწილდება იმ პარტიებს შორის, რომლებიც გადალახავენ 5%-იან ბარიერს. ეს ერთგვარი დამაბალანსებელი სისტემა და საკომპენსაციო მექანიზმია, რათა უზრუნველყონ სრული პროპორციული წარმომადგენლობა ეროვნულ დონეზე უფლებამოსილ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის. ადგილების განაწილება დ'ონდტის მეთოდით ხდება.[26]

ლიხტენშტეინის სამთავროში ამომრჩეველს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს კანდიდატები ღია სიების პრინციპით, ან შეუძლია გადახაზოს/დაამატოს სიაში კანდიდატთა ნაწილი. 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩეველთა 54% გამოიყენა ეს მეთოდი, ანუ ხმა მისცა სხვადასხვა პარტიის კანდიდატებს, ან არასასურველი კანდიდატი გადახაზა. ხოლო მანდატების განაწილება ხდება საარჩევნო ჯგუფზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოიპოვებს საერთო ხმების 8%. ეს არის ეუთოს რეგიონში დაფიქსირებული ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საარჩევნო ბარიერის მაჩვენებელი.[27]

ვხვდებით ქვეყნებს, სადაც საარჩევნო ბარიერი არ არის. ამის კარგი მაგალითია ფინეთი. ფინეთში არ არსებობს საარჩევნო ბარიერი, რადგან ქვეყანაში იყო შიში იმის, რომ საარჩევნო ბარიერის

[26] (28 07 2009) *"ICELAND; EARLY PARLIAMENTARY ELECTIONS 25 APRIL 2009"*, Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 11. 09. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/iceland/38309?download=true-დან, გვ. 4.

[27] (05. 01. 2017) "*PRINCIPALITY OF LIECHTENSTEIN. PARLIAMENTARY ELECTIONS. 5 Februaru 2017*", Office for Democratic Institutions and Human Rights, Warsaw, ნანახია 06. 08. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/liechtenstein/292261?download=true-დან, გვ. 4.

მოთხოვნით შეიძლებოდა შვედურ ენაზე მოლაპარაკე უმცირესობას ადგილები დაეკარგა ედუსკუნტაში. არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული ბარიერი მანდატების განაწილებაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა დ'ონდტის მეთოდის გამოყენებამ თავისთავად წარმოქმნა ბარიერი ოლქის დონეზე, რომლის გადალახვაც მცირე პარტიებს უმეტეს შემთხვევებში საარჩევნო ალიანსების შექმნის გზით შეუძლიათ. ერთმანდატიან ოლქში მანდატის მინიჭება ხდება უმრავლესობის საარჩევნო სისტემის გამოყენებით, რომლის თანახმადაც ადგილი ენიჭება იმ კანდიდატს, რომელმაც ოლქში სხვებზე მეტი ხმა მიიღო.[28]

გენდერული ბალანსი: შესწავლილი ქვეყნების გარკვეულ ნაწილში აქტიურად დგას პოლიტიკაში გენდერული ბალანსის საკითხი. თუმცა, ამ ქვეყნების ძირითად ნაწილში ყოველდღიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და შედეგად გენდერული თანასწორობის მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით გაიზარდა.

2018 წელს ავსტრიის რესპუბლიკაში რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა იმ ქალების, რომლებიც ეროვნული პოლიტიკის დონეზე იყვნენ წარმოდგენილნი. 2018 წლის მაისისათვის ეროვნულ საბჭოს წევრთა 35.5% და ფედერალურ საბჭოს წევრთა 32.8% ქალი იყო. რეგიონულ დონეზე, ცხრა პროვინციის მთავრობათა წევრების პროცენტული მაჩვენებელი 20%-დან 38.9%-მდე მერყეობს. მიუხედავად პროგრესისა, როცა საქმე ეხება ქალთა წარმომადგენლობას ავსტრიულ პოლიტიკაში, ქალები კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. არც პარლამენტის ორ პალატაში და არც ცხრა პროვინციის მმართველ ორგანოებში არ არის დაბალანსებული რაოდენობა ქალ და მამაკაც დეპუტატებს შორის. არ მოქმედებს სა-

[28] (აპრილი 2015) *„ევროპის ქვეყნების საპარლამენტო საარჩევნო სისტემების მოკლე მიმოხილვა“,* ნანახია 8. 08. 2019 წ.,USAID, IFES, https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/12/file001.pdf-დან, გვ. 10.

ვალდებულო დამარეგულირებელი კვოტები.[29] ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ირლანდიის პოლიტიკურ სტრუქტურაში. 2007 წლის არჩევნებში ქვედა პალატის 166 წევრიდან 22 იყო ქალი, რაც დაახლოებით 13%-ია. ანალოგიურად, 2004 წლის ადგილობრივ სამთავრობო არჩევნებში საოლქო საბჭოს წევრების მხოლოდ 16% იყო ქალი.[30]

ლიხტენშტეინის სამთავროში უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში, 2017 წელს, ქალი წარმომადგენლების რიცხვი 24%-დან 12%-მდე შემცირდა. ქალთა წარმომადგენლობა და მათი შესაძლებლობები საყოველთაო არჩევნებში ისტორიულად მაღალი იყო 2005, 2009 და 2013 წლებში. პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დარღვევამ საზოგადოებაში დიდი დისკუსია გამოიწვია. მთავარმა პოლიტიკურმა პარტიებმა საჯაროდ გამოთქვეს სურვილი და დაისახეს მიზნად გენდერული თანასწორობის დაცვა საარჩევნო სიების წარმოდგენისას 2019 წლის საკრებულოს არჩევნებისთვის. ამ არჩევნებში თერთმეტი ადგილიდან მერად მხოლოდ ორი ქალი აირჩიეს.[31]

გენდერული ბალანსის თვალსაზრისით არ არის სახარბიელო მდგომარეობა სან მარინოს რესპუბლიკაშიც. ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა დაბალია, ამჟამად პარლამენტის 60 წევრიდან

---

[29] *"Gender Equality in Austria Milestones, successes and challenges",* ნანახია 11.12.2019 წ., file:///C:/Users/user/Downloads/Gleichstellung_Broschuere_Ratsvorsitz_EN_RZ16.pdf -დან.

[30] (16 04 2007) „IRELAND; 2007 PARLIAMENTARY ELECTIONS (DÁIL ÉIREANN), Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 26. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/ireland/24652?download=true -დან, გვ.4.

[31] (22 05 2019) "Liechtenstein, Comrehensive National-level Review Liechtenstein Twenty-fifth anniversary of the Fourth world Conference on Woman and adoption of the Beijing Declaration and Platform for Action (1995)" ნანახია https://www.unece.org/fileadmin/DAM/Gender/Beijing_20/Liechtenstein.pdf-დან, გვ. 2-3.

მხოლოდ 13-ია ქალი. 2016 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ზედიზედ მესამე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სხვადასხვა სტრუქტურებს, რომელთაც ხელმძღვანელობს საარჩევნო კომისია და შეიცავს 17 სადამკვირვებლო და 50 საარჩევნო უბნების ოფისებს. საარჩევნო კომისიის 11 წევრიდან 5 არის ქალი, ხოლო საარჩევნო უბნების ოფისების 60% არის ქალი.[32]

კვლევაში შესწავლილ დანარჩენ ქვეყნებში ან გენდერული საკითხი დაბალანსებულია, ან უფრო მწვავე პრობლემების ფონზე ეს საკითხი უკანა პლანზე დგას და ჯერ საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში არ მოხვედრილა.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება: მესამე ხარვეზი, რომელზეც ყურადღებას გავამახვილებთ დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებენ, საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაა. ირლანდიაში საარჩევნო კამპანიების ხარჯვის ლიმიტი მოიცავს მხოლოდ ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდს. რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ გამოთქვა შეშფოთება, რომ შესაძლებელია კონცენტრირება მოხდეს ხარჯვაზე არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების წინა პერიოდში. ამავე დროს, არ იკრძალება ფასიანი ბილბორდების შეძენა არჩევნების დაანონსების წინა პერიოდში, მაგრამ დაუშვებელია კამპანიის პლაკატების განთავსება საჯარო ადგილებში ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. [33]

---

[32] (09 11 2016) *"REPUBLIC OF SAN MARINO; EARLY PARLIAMENTARY ELECTIONS 20 November 2016",* Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 28.11.2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/san-marino/280341?download=true -დან, გვ. 5.

[33] (16 04 2007) „IRELAND; 2007 PARLIAMENTARY ELECTIONS (DÁIL ÉIREANN), Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 26. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/ireland/24652?download=true -დან, გვ.4.

კვიპროსის რესპუბლიკაში ორივე სახის პარტიები, საპარლამენტო და არასაპარლამენტოც, იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას. 2015 წლის ცვლილებებით არასაპარლამენტო პარტიებს შეუძლიათ სახელმწიფო დაფინანსების მიღება თუ მათ არჩევნებში 3% მაინც მიიღეს და წარდგენილი ჰყავდათ კანდიდატები საპარლამენტო ადგილების ნახევარზე მაინც. პატარა პარტიებმა ამ ცვლილებაზე უკმაყოფილება გამოთქვეს, რადგან მათთვის ამ პირობის გამო სახელმწიფო დაფინანსება შემცირდა.[34]

ლიხტენშტეინის სამთავროში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, არ არსებობს დაფინანსების დადგენილი ზედა ლიმიტი და არც იმის მოთხოვნა, რომ გამჟღავნებული იყოს დამფინანსებლების რაოდენობა. საარჩევნო ჯგუფებს არც საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე აქვთ დაწესებული ლიმიტი, მათ შეუძლიათ სურვილის და საჭიროებისამებრ დახარჯონ იმდენი, რამდენსაც მოისურვებენ.[35]

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

მაჟორიტარულ სისტემას მსოფლიოში ყველაზე მეტი ქვეყანა იყენებს. მართალია, ევროპაში, კონკრეტულად დასავლეთ ევროპაში, პროპორციულ საარჩევნო სისტემას კონკურენტი არ ჰყავს, მაგრამ აქაც ვხვდებით ქვეყნებს, რომლებიც წარმატებით იყენებენ

[34] (30. 03.2016) *"Rebublic of Cyprus. Parliamentary Elections 22 May 2016"*, Office for Democratic and Human Rights, Warsaw, ნანახია 19. 07. 2019 წ.,https://www.osce.org/odihr/elections/cyprus/230496?download=true -დან, გვ.7.

[35] (05. 01. 2017) "*PRINCIPALITY OF LIECHTENSTEIN. PARLIAMENTARY ELECTIONS. 5 Februaru 2017*", Office for Democratic Institutions and Human Rights, Warsaw, ნანახია 06. 08. 2019 წ.,https://www.osce.org/odihr/elections/liechtenstein/292261?download=true-დან, გვ. 7.

მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას. ამის კარგი მაგალითია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, რომელიც მაჟორიტარული უმრავლესობის სისტემას იყენებს. დიდ ბრიტანეთში კონსტიტუციური მონარქიაა, ხოლო პარლამენტი ორპალატიანია და საკანონმდებლო უფლებამოსილებას აღასრულებს ლორდთა და თემთა პალატა. დევოლვირებულ მხარეებში მოქმედებს ადგილობრივი პარლამენტი და ასამბლეები, თუმცა ბრიტანეთის პარლამენტი ქვეყნის მასშტაბით საკანონმდებლო ხელისუფლებაა. თემთა პალატის 650 წევრი ირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებიდან მარტივი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 5 წლის ვადით. აქ, მოქმედებს ე.წ. *„დაკარგული“* ხმების სისტემა, რადგან კანდიდატი, რომელსაც ყველაზე მეტი ხმა აქვს მიღებული იმარჯვებს, ხოლო სხვა კანდიდატებისთვის მიცემული ხმები იკარგება.[36]

საინტერესო მომენტი საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაა. კამპანიის დაფინანსების წესები ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზე, კანდიდატებსა და მესამე მხარეებზე. მთლიანობაში კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი სისტემა ადეკვატურია და უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და სარგებლობს საზოგადოების ნდობით. სახელმწიფო დაფინანსება შეზღუდულია და ძირითადად ოპოზიციური პარტიებისთვის არის გამოყოფილი. კანდიდატებს შეუძლიათ ისარგებლონ ფასდაკლებით საფოსტო მომსახურებაზე, უფასოდ გამოიყენონ ღონისძიების ჩასატარებელი ადგილები საარჩევნო კამპანიისთვის და უფასო საეთერო დრო ტელევიზიაში. პარტიის შემოსავლის უმეტესი ნაწილი კერძო შენატანებზე მოდის. კანონით არ არის დადგენილი თანხის რაოდე-

[36] (22 07 2019) *„UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND; GENERAL ELECTION 7 MAY 2015",* Office for Democratic and Human Rights, ნანახია 19. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/uk/174081?download=true-დან, გვ. 2.

ნობის ლიმიტი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დიდი დონორების ზეგავლენის ზრდა. 2014 წელს პარტიების დაფინანსების დაახლოებით მეოთხედი ნაწილი მოდიოდა 25 ინდივიდისგან.[37] რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას - 2015 წლის არჩევნებში 191 ქალი იყო არჩეული პარლამენტში, რაც ჯამში 29% წარმოადგენდა.

შერეული საარჩევნო სისტემა

საქართველოში 2020 წლის არჩევნები კონსტიტუციური კანონპროექტის თანახმად, ჩატარდა შერეული საარჩევნო სისტემით. პარლამენტში ამ წესით შედის 120 პროპორციული და 30 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით შერჩეული კანდიდატი. საპარლამენტო არჩევნებამდე საარჩევნო სისტემის შერჩევის შესახებ გამართულ საჯარო დისკუსიებში ოპოზიციური პარტიების ლიდერთა ნაწილი აქტიურად განიხილავდა შერეული საარჩევნო სისტემის ე.წ. *„გერმანულ მოდელს“*. გადავწყვიტეთ შერეული სისტემის მაგალითად სწორედ გერმანია განგვეხილა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

შერეული საარჩევნო სისტემის ფუნქციონირების კარგი მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. გერმანია იყენებს ე.წ. შერეული წევრობის პროპორციულ, დამოკიდებულ საარჩევნო სისტემის ტიპს. არჩეული ოფიციალური პირები არიან ბუნდესტაგის დეპუტატები ფედერალურ დონეზე, ლანდტაგის წარმომადგენლები ან სენატის წევრები მიწების დონეზე, ასევე, საბჭოს წევრები ოლქის ადგილობრივ დონეზე. აღმასრულებელი თანამდებობის პირები, როგორც წესი, არჩევნების გზით არ აირჩევა, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერების მცირე ნაწილი ოლქების ნაწილში არჩევ-

[37] იქვე. გვ. 7.

ნების გზით ინიშნება. ყველა დონეზე არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.[38]

2017 წლის მონაცემებით გერმანიაში დაახლოებით 61.5 მილიონი ამომრჩეველია, რომელთაც ერთი ხმით აქვთ უფლება მხარი დაუჭირონ სასურველ კანდიდატს საკუთარ ოლქში. გერმანია იყოფა 328 საარჩევნო ოლქად, თითოეულ ოლქში საშუალოდ 180 ათასი ამომრჩეველია. ბუნდესტაგის წევრთა ნახევარი პირდაპირ აირჩევა ამ ოლქებიდან.[39]

გერმანიაში მომქმედი საარჩევნო სიტემა ითვალისწინებს ორ ხმას. საკუთარ ოლქში მიცემული ხმა კანდიდატისათვის პირველი ხმაა, რადგან ამომრჩეველს ამ გზით შესაძლებლობა აქვს საკუთარი წარმომადგენელი აირჩიოს ბუნდესტაგში. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი კი არის მეორე საარჩევნო ხმა, რომლითაც ამომრჩეველი სასურველ პოლიტიკურ პარტიას ირჩევს. მეორე საარჩევნო ხმების დათვლისას მოქმედებს საარჩევნო ბარიერიც. პოლიტიკური პარტია ვერ მოხვდება ბუნდესტაგში თუ ვერ გადალახავს მეორე საარჩევნო ხმების ხუთ პროცენტს მაინც. ეს 5%-იანი ბარიერი დაწესდა მცირე ექსტრემისტული პარტიების გასანეიტრალებლად.[40]

ბუნდესტაგის წევრებს ბუნდესრატისგან, ანუ მეორე საკანონმდებლო ორგანოსაგან, განსხვავებით, რომელიც მხარეების წარმომადგენლებისგან კომპლექტდება, პირდაპირ ხალხი ირჩევს. ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ფიგურას - კანცლერს ხალხის მიერ არჩეული

---

38 *"Germany – The Electoral System",* ნანახია 10.08.2019 წ., http://countrystudies.us/germany/157.htm-დან.

39 იქვე.

40 სარჯველაძე მ. *„გერმანიის საპარლამენტო არჩევნების შედეგები: პოპულიზმი, იამაიკა-კოალიცია და საქართველო"* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნანახია http://gip.ge/wp-content/uploads/2017/09/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-20-2.pdf -დან, გვ.3.

ბუნდესტაგის წევრები ირჩევენ.[41] კლასიკური „გერმანული მოდელი“ ასევე ითვალისწინებს მაჟორიტარულ კომპონენტში გამოვლენილი მანდატების დისპროპორციის კომპენსირებას პროპორციული სიებით. ამისთვის გამოიყენება ე.წ. *„საკომპენსაციო მანდატები“*.[42]

დასკვნა

დასავლეთ ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო საარჩევნო სისტემების შესახებ ჩვენი კვლევა განპირობებულია ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში საარჩევნო სისტემის თემის აქტუალობის ზრდის მასშტაბით. განსაკუთრებით ყურადღება გავამახვილეთ პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემაზე, რადგან 2019 წლის გამოსვლების დროს ოპოზიციის ლიდერების და მომიტინგეების მთავარი მოთხოვნა სწორედ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითები ნათლად ასახავს იმ წარმატებებს და ხარვეზებს, რისი მიღწევა და გავლაც შესაძლებელია მოუწიოს საქართველოს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის პროცესში.

ომის შემდეგი პერიოდის განმავლობაში ევროპის ქვეყნებმა საარჩევნო მეთოდად უმეტესად დ’ონდტის მეთოდი აირჩიეს, თან დაადგინეს ეფექტური ბარიერი არჩევნებისთვის. პარტიულ სისტემებს დასავლეთ ევროპაში 1960-იან წლებში აღწერდნენ, როგორც „გაყინულს“. ბოლო დროს კი საარჩევნო სისტემები ლიბერალურ დასავლეთში გახდა უფრო კონკრეტული. მანამდე, მთავრობაში შემავალი პარტიები მხარს უჭერდნენ სტატუს კვოს შენარჩუნებას, რადგან არსებული სიტუაციით ისინი სარგებლობდნენ და არ თვლიდნენ საჭიროდ მის შეცვლას. კრიტიკული ნაწილი ასეთი პარ-

[41] იქვე.

[42] *„გერმანული მოდელის“ საარჩევნო სისტემა საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება”.* ნანახია 05.12.2020 წ., https://emc.org.ge/ka/products/germanuli-modelis-saarchevno-sistema-sakartvelos-konstitutsias-ar-etsinaaghmdegeba - დან.

ტიების ან გარე ჯგუფები სისტემურად ირიცხებოდნენ არჩეული თანამდებობიდან და იშვიათად ვხვდებით იმ შემთხვევებს, როცა ისინი წარმატებას აღწევდნენ და ცვლიდნენ თამაშის წესებს. ასეთი სტაბილურობა იმის მანიშნებელია, რომ საარჩევნო სისტემები არსებითად კონსერვატიულია. ამის მიუხედავად, ინსტიტუტებმა გადამწყვეტ მომენტში შეიძლება განიცადონ რადიკალური დარღვევა, დაშლა.[43]

ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვანმა გამოწვევებმა მთავრობის ლეგიტიმურობის მისაღწევად გამოიწვია საარჩევნო საკითხის რეფორმა. ახალი დემოკრატიის ქვეყნებმა, როგორებიცაა ეკვადორი, უნგრეთი, რუსეთი უპირატესობა შერეულ საარჩევნო სისტემას მიანიჭეს, რადგან სჯეროდათ, რომ ეს სისტემა აერთიანებდა საუკეთესო ნაწილს, როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემებისა.

1990-იანებიდან საარჩევნო სისტემების შესახებ კამათმა უმნიშვნელო საკითხის ნაცვლად მთავარი დატვირთვა შეიძინა და შესაბამისად მისი აქტუალობაც პოლიტიკურ დღის წესრიგში საგრძნობლად გაიზარდა. აქტუალობის ზრდასთან ერთად მეტი ინფორმაცია დაგროვდა ამ საკითხის ირგვლივ და დადგინდა, რომ საარჩევნო წესები არ არის ნეიტრალური: ის გზა, რომლითაც ამომრჩეველთა ხმები იქცევა პარლამენტის ადგილებად ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ჯგუფები, პარტიები და წარმომადგენლები მართავენ პოლიტიკის შემუშავების პროცესს და მეორე ნაწილი გამორიცხულია ამ პროცესიდან. ძირითადი დებატები ეხება მთავარ საკითხს: ქვეყნებმა უნდა მიიღონ მაჟორიტარული სისტემა, რომლის პრი-

[43] (ივლისი 1997) Norris P. "Choosing Electoral Systems: Proportional, Majoritarian and Mixed Systems", For Contrasting Political Institutions special issue of the International Political Science Review Vol 18(3); ნანახია 9.10.2019 წ. https://sites.hks.harvard.edu/fs/pnorris/Acrobat/Choosing%20Electoral%20Systems.pdf -დან. გვ. 1.

ორიტეტიც არის მთავრობის ეფექტურობა და ანგარიშვალდებულე-ბა, ან პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მეტი მრავალფეროვნების შენარჩუნებას საზოგადოების წარმომად-გენლებს შორის. [44]

საინტერესოა ჩვენთვის საარჩევნო სისტემის ცვლილებების შემთხვევები და შედეგები. საქართველოში გაჩნდა იმის დიდი მო-ლოდინი, რომ საარჩევნო სისტემის ცვლილება სწრაფად მოაგვა-რებს ქვეყანაში შექმნილ სხვადასხვა სახის მწვავე პრობლემას. გა-მოვყოთ რამდენიმე თეზისი, რომელზეც გავედით ჩვენი კვლევის პროცესში:

- საარჩევნო სისტემები არ არსებობენ იზოლირებულად, ისინი უფრო ინსტიტუციების ფართო სპექტრის ნაწილად უნდა მი-ვიჩნიოთ. კონტექსტი მნიშვნელოვანია, როცა კონკრეტულ სისტემას ირჩევს სახელმწიფო და იღებს გარკვეულ შედეგებს (მაგ. სახელმწიფო საპრეზიდენტოა თუ საპარლამენტო, ქვეყა-ნაში ფედერალური თუ უნიტარული მოწყობის სისტემაა; ბუ-ნება და ხარისხი პოლიტიკური პარტიებისა).
- საარჩევნო სისტემის არჩევა არ არის ტექნიკური საკითხი, არამედ პოლიტიკური; საარჩევნო სისტემის შეცვლის ეფექტი არ გამოვლინდება მოკლევადიან პერტსპექტივაში და შეიძ-ლება გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მივიდეს გრძელვა-დიან პერიოდში.
- საარჩევნო სისტემის ცვლილებები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც პანაცეა ყველა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მაგრამ მისი გავლენა არც უმნიშვნელოდ უნდა შეფასდეს: შეიძლება ეს ცვლილებები იყოს დამატებითი, მაგრამ შეიძ-ლება იყოს საკმაოდ მნიშვნელოვანიც.

[44] იქვე. გვ. 1-2.

- არც ერთი საარჩევნო სისტემა არ არის სრულყოფილი - ყოველთვის რაღაც ფაქტორების ერთმანეთთან დაპირისპირება ახდენს მასზე გავლენას (მაგ. კანდიდატის პიროვნული გავლენა პარტიასთან კავშირის წინააღმდეგ; ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე უპირისპირდება ანგარიშვალდებულებას პარტიის წინაშე; მოკლევადიანი უპირატესობა და სარგებელი გრძელვადიანი სტაბილურობის წინააღმდეგ). ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო ოლქების მოწყობის წესი და საარჩევნო კანონმდებლობა ამ პრობლემების დაბალანსების საშუალებაა.[45]

ევროპული ქვეყნების პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოცდილების შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, რომელი მოდელი დგას ყველაზე ახლოს საქართველოსთან. შეგვიძლია რეკომენდაციის სახით ვისაუბროთ იმაზე, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით და ერთპალატიანი პარლამენტის კრიტერიუმებით საქართველომ დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ ქვეყნებზე, როგორებიცაა: პორტუგალია, ფინეთი, ხორვატია, ესტონეთი, ლატვია, მოლდოვა, ბულგარეთი.

[45] Menocal A. *"Why electoral systems matter: an analysis of their incentives and effects on key areas of governance"*, Overseas Development Institute, ნანახია 23.12.2019 https://www.odi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/7367.pdf -დან, გვ. 13-14.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

- BOUHON, F., (21.03.2017). *"The Belgian Electoral System: Open List System, Political Parties and Individual Candidates. ნანახია 09 07 2019,* https://orbi.uliege.be/bitstream/2268/206949/1/BRASILIA%20-%20The%20Belgian%20Electoral%20System.docx.pdf-დან.
- (01.09.2013) „Electoral systems; International experience", ნანახია 19. 09. 2019 წ., https://emc.org.ge/en/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba-1 --დან.
- *,,Germany – The Electoral System" 10.08.2019 წ.* ნანახია http://countrystudies.us/germany/157.htm -დან.
- *"Gender Equality in Austria Milestones, successes and challenges",* ნანახია 11.12.2019 წ., file:///C:/Users/user/Downloads/Gleichstellung_Broschuere_Ratsvorsitz_EN_RZ16.pdf -დან.
- (27. 07. 2018) HANSEN J., *"John Hansen: Denmark's electoral system offers lessons for B.C.",* ნანახია 01. 08. 2019 წ., https://vancouversun.com/opinion/op-ed/john-hansen-denmarks-electoral-system-offers-lessons-for-b-c -დან.
- (26 10 2015) *"How Turkey's Parliamentary Elections Work",* ნანახია 16. 07. 2019 წ.,https://carnegieeurope.eu/2015/10/26/how-turkey-s-parliamentary-elections-work-pub-61744-დან.
- (28 07 2009) *"ICELAND; EARLY PARLIAMENTARY ELECTIONS 25 APRIL 2009",* Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 11. 09. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/iceland/38309?download=true-დან.
- (16 04 2007) „IRELAND; 2007 PARLIAMENTARY ELECTIONS (DÁIL ÉIREANN), Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 26. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/ireland/24652?download=true -დან
- (22 05 2019) "Liechtenstein, Comrehensive National-level Review Liechtenstein Twenty-fifth anniversary of the Fourth world Conference on Woman and adoption of the Beijing Declaration and Platform for Action (1995) ნანახია

https://www.unece.org/fileadmin/DAM/Gender/Beijing_20/Liechtenstein.pdf-დან.

- L-Universita ta'Malta *"Malta Elections: a Collection of Electoral Data on Maltese Islands"* ნანახია 16.07.2019 წ., https://www.um.edu.mt/projects/maltaelections/stvsystem/howmaltavotes -დან.
- Menocal A. *"Why electoral systems matter: an analysis of their incentives and effects on key areas of governance",* Overseas Development Institute, ნანახია 23.12.2019 https://www.odi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/7367.pdf -დან.
- Norris P., *"Choosing Electoral Systems: Proportional, Majoritarian and Mixed Systems",* ნანახია 25. 09. 2019 წ., https://sites.hks.harvard.edu/fs/pnorris/Acrobat/Choosing%20Electoral%20Systems.pdf-დან.
- *"Parliamentary Elections",* The official portal of the Grand Duchy of Luxembourg", ნანახია 05. 08. 2019 წ.,http://luxembourg.public.lu/en/le-grand-duche-se-presente/systeme-politique/systeme-electoral/legislatives/index.html-დან.
- (2011) *"The Parliamentary Electoral System in Denmark",* Ministry of the Interior and Health and The Danish Parliament, Copenhagen, ნანახია 30. 07. 2019 წ., https://www.thedanishparliament.dk/~/media/pdf/publikationer/english/the-parliamentary-system-of-denmark_2011.ashx-დან.
- (January 2014) Petrela I., *"ELECTORAL SYSTEMS IN EUROPE AND THE CASE OF ALBANIA",* Law Journal, Vol. 1 No. 1, ნანახია 02. 08. 2019 წ., http://seelawschool.org/pdf/2_Electoral_systems_in_Europe_and_the_case_of_Albania.pdf-დან.
- (05. 01. 2017) "*PRINCIPALITY OF LIECHTENSTEIN. PARLIAMENTARY ELECTIONS. 5 Februaru 2017*", Office for Democratic Institutions and Human Rights, Warsaw, ნახულია 06. 08. 2019 წ.,https://www.osce.org/odihr/elections/liechtenstein/292261?download=true-დან.

- Pukelsheim, F., "*Proportional Representation",* Springer International Publishing, ნანახია 10.07.2019 წ.
- (30. 03.2016) *"Rebublic of Cyprus. Parliamentary Elections 22 May 2016",* Office for Democratic and Human Rights, Warsaw, ნახულია 19. 07. 2019 წ.,https://www.osce.org/odihr/elections/cyprus/230496?download=true -დან,
- (09 11 2016) *"REPUBLIC OF SAN MARINO; EARLY PARLIAMENTARY ELECTIONS 20 November 2016",* Office for Democratic Institutions and Human Rights, ნანახია 28.11.2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/san-marino/280341?download=true -დან.
- (22 07 2019) *„UNITED KINGDOM OF GREAT BRITAIN AND NORTHERN IRELAND; GENERAL ELECTION 7 MAY 2015",* Office for Democratic and Human Rights, ნანახია 19. 11. 2019 წ., https://www.osce.org/odihr/elections/uk/174081?download=true-დან.
- რუხაძე ზ., *„საქართველოს კონსტიტუციური სამართალი",* ნანახია 24. 07. 2019 წ., http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.11&d=HASH018e083605e388a0f0c0f1d1.8.3.7&gt=1-დან.
- სარჯველაძე მ. *„გერმანიის საპარლამენტო არჩევნების შედეგები: პოპულიზმი, იამაიკა-კოალიცია და საქართველო"* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნანახია http://gip.ge/wp-content/uploads/2017/09/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-20-2.pdf -დან.
- (აპრილი 2015) *„ევროპის ქვეყნების საპარლამენტო საარჩევნო სისტემების მოკლე მიმოხილვა",* ნანახია 8. 08. 2019 წ.,USAID, IFES, https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/12/file001.pdf-დან.
- *„საარჩევნო სისტემები".* ნანახია 06.07.2019 წ.,http://www.parliament.ge/files/1055_16721_957521_saarchevno_sistemebi.pdf - დან.

Nino Maisuradze

Electoral Systems of the Western European Countries

Abstract

Elections are the basis of democratic governance. If they are held in free and fair manner then the population has greater chances to be heard and feel part of exercise power. Electoral systems play a significant role in the political process in a state because they determine how votes cast for political parties or coalitions are translated into parliamentary mandates. The total number of votes gained by a political party can result in the victory of the said party under an electoral system, or defeat under another electoral system.

This article describes and classifies the electoral systems in Western Europe. Most countries in Western Europe use proportional representation rules for the election of their parliament. We will focus on the presentation of the features of the proportional electoral system, which changes in different countries, depending on the specifics of the country itself. We will study the problems or successes, which this electoral system brings to these countries.